წერილის ნომერი: **18-0120006847**
თარიღი: **06/01/2020**
პინი: **1367**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 30 დეკემბრის #60-011936431 წერილი (AR1699630), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, შუშის ქ. #38 (ს.კ.: 01.11.04.017.129) (სამრეწველო ზონა 1) სოფია ხაბეიშვილის კუთვნილ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, III კლასის საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან ახალდარგულ მწვანე ნარგავების მოვლაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია გიორგი მღებრიშვილი, განმცხადებელმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს გიორგი მღებრიშვილის წერილობითი თანხმობა ან მასთან გაფორმებული ხელშეკრულება მწვანე ნარგავების მოვლასთან დაკავშირებით.

ამასთანავე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 56-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გამწვანების პროექტის დასრულების თარიღად უნდა მიეთითოს გონივრული ვადა.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი